## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
## ბრძანება

ბრძანება:**ბ92.922219615**

თარიღი:**15/07/2022**

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30 დეკემბრის N ბ92.92213641 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი1**.შევიდეს ცვლილება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისა და ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის საწვავის გამოყოფისა და ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30 დეკემბრის Nბ92.92213641 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში, მორიგე ავტომობილის და მერის მოადგილის ავტომანქანების მონაცემების შეცვლის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დანართი N1-ი ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი2**.ბრძანების ყველა სხვა მუხლი დარჩეს უცვლელი.

**მუხლი3**. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

LAGODEKHI MUNICIPALITY CITY HALL
ს/ნ 233144987
MATERIAL COPY OF ELECTRONIC DOCUMENT

დანართი N1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისათვის ყოველთვიური საწვავის ლიმიტი

❖ მერიის თანამდებობის პირისათვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტი:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის – 600 ლიტრი ბენზინი /პრემიუმი/, ავტომანქანა TOYOTA LANDCRUISER LC 150, სარეგისტრაციო ნომერი -WW454IW მაღალი გამავლობის;

მერის მოადგილის ავტომანქანა - 150 ლიტრი ბენზინი, RENAULT SANDERO-, სარეგისტრაციო ნომერი BB144BC .

❖ სტრუქტურული ერთეულებისათვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტი:

ა) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური – 150 ლიტრი /ბენზინი/, RENAULT DUSTER, სარეგისტრაციო ნომერი MW677MM;

ბ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური": 220 ლიტრი დიზელი, ავტომანქანა RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის, სარეგისტრაციო ნომერი- PP 577 FF;

გ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური": 220 ლიტრი დიზელი, ავტომანქანა RENAULT - მაღალი გამავლობის, სარეგისტრაციო ნომერი- PP 544 FF;

❖ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მორიგე ავტომანქანა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მორიგე ავტომანქანა– 200 ლიტრი დიზელი, ავტომანქანა RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის სარეგისტრაციო ნომერი- UW 733 WU .

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
**ბრძანება**

ბრძანება:**ბ92.922219613**
თარიღი:**15/07/2022**

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების განაწილების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქარტველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი1**.სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გადაეცეს დროებით სარგებლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს ჯონდო მდივნიშვილს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ავტომანქანა TOYOTA LANDCRUISER LC150, სარეგისტრაციო ნომერი WW 454 IW.

**მუხლი2**.ზემოაღნიშნული ავტომანქანის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მძღოლს მამუკა ცაგურიშვილს.

**მუხლი3**.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის, სარეგისტრაციო ნომრით- UW 733 WU განისაზღვროს მორიგე ავტომობილად.

**მუხლი4**.ზემოაღნიშნული ავტომანქანის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ადმინისტრაციული სამსახური"-ს უფროსს გიორგი მჭედლიშვილს.

**მუხლი5**.სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გადაეცეს დროებით სარგებლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნინო ბატიაშვილს ავტომანქანა RENAULT SANDERO, სარეგისტრაციო ნომრით- BB 144 BC.

**მუხლი6.**ზემოაღნიშნული ავტომანქანის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნინო ბატიაშვილს.

**მუხლი7**.სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გადაეცეს დროებით სარგებლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს" მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომანქანა RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის, სარეგისტრაციო ნომრით- PP 577 FF.

**მუხლი8.** ზემოაღნიშნული ავტომანქანების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური"-ს უფროსს ნათელა დათუკიშვილს.

**მუხლი 9**.სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გადაეცეს დროებით სარგებლობაში

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს" მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომანქანა RENAULT DUSTER , სარეგისტრაციო ნომრით- MW677MM".

**მუხლი 10.** ზემოაღნიშნული ავტომანქანის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური"-ს უფროსს გელა ლომიძეს.

**მუხლი11**.სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გადაეცეს დროებით სარგებლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს" მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომანქანა RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის, სარეგისტრაციო ნომრით- PP 544 FF.

**მუხლი12**.ზემოაღნიშნული ავტომანქანის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური"-ს უფროსს გიორგი ჩალათაშვილს .

**მუხლი13**.გამოცხადდეს ძალადაკარგულად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 14 სექტემბრის №ბ92.92212574 ბრძანება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების განაწილების შესახებ".

**მუხლი 14**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი15**.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
LAGODEKHI MUNICIPALITY CITY HALL
• ს/ნ 233144987 •
MATERIAL COPY OF ELECTRONIC DOCUMENT